

უკანასკნელი პასუხი ბ-ნ ნიკოლაძეს

(1878 წელი, „ტიფლისსკი ვესტნიკი“)

თუმცა ბ-ნ ნიკოლაძის უკანასკნელისწინა „საკვირაო საუბარს“, რომელიც თითქოს მთლიანად ჩემს წინააღმდეგ არის მომართული აშკარად გამომწვევი ხასიათი აქვს, მაგრამ ვინაიდან მკითხველებს დავპირდი, რომ ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტო მასთან პირადი პოლემიკა, ამიტომ იძულებული ვარ შემოვიფარგლო ჩემზე თავდასხმის მხოლოდ იმ პუნქტების უარყოფით, რომლებიც წმინდა პირადული ხასიათისა არ არის.

გაურკვეველია, ბ-ნ ნიკოლაძემ თავის ფელეტონში რატომ აღძრა ძველი საკითხი დირექტორის ადგილზე ბ-ნ სტრელეცკის კანდიდატურის შესახებ და რატომ წარმოადგინა ეს საქმე სრულიად ყალბად. „ტიფლისსკი ვესტნიკის“ სხვა თანამშრომლების მსგავსად ქართული ენის ცოდნას თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორისათვის ისიც უდავოდ აუცილებლად თვლიდა; ხოლო იმის გამო, რომ ამ პირობას ბ-ნი სტრელეცკი ვერ აკმაყოფილებდა, უნდოდათ დირექციის სათავეში ენახათ სხვა ვინმე, სახელდობრ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ახლანდელი დირექტორი, როგორც პედაგოგი, რომელიც თავისუფლად ფლობს ქართულ ენას. ნიკოლაძის მტკიცება კი, რომ თითქოს მე მსურდა ქართველი, რომელსაც ენა ეცოდინებოდა, და რომ თითქოს მე ვცდილობდი, რომ დირექტორის ადგილზე ან მე, ან ჩემი რომელიმე მეგობარი დაენიშნათ, წმინდაწყლის ცილისწამებაა.

ასევე ყალბია ნიკოლაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს მე „ტიფლისსკი ვესტნიკში“ ვწერდი უსასრულო ვარიაციებს სულ ერთსა და იმავე თემაზე. სახალხო განათლებასა და საერთოდ პედაგოგიურ დარგს ეხებოდა ჩემი მხოლოდ სამი სტატია ოთხი-ხუთი შენიშვნა, რომლებიც წმინდა პრინციპული ხასიათისა იყო. ჩემს მიერ დაწერილი ყველა დანარჩენი სტატია კი ეხებოდა სხვა საკითხებს, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ პედაგოგიურ სამყაროსთან. „ტიფლისსკი ვესტნიკში“ დაბეჭდილ ჩემს სტატიებს კი მე ხელს არ ვაწერდი არა იმიტომ, რომ საშინლად მეშინოდა სასწავლო უწყების შურისძიებისა, არამედ იმ მიზეზებით, რომ არ მქონდა ამის ჩვეულება, ქართულ გაზეთებშიაც ჩემი გვარი ერთხელაც არ ყოფილა დაბეჭდილი ჩემი სტატიებისა და შენიშვნების ქვემოთ. ჩემი ფსევდონიმების გაუხსნელად ბ-ნ ნიკოლაძე, ქართველი მკითხველი საზოგადოება ვერც ვერასდროს გაიგებდა, რომ იმ სტატიების ავტორი მე არ ვიყავი.

ბ-ნ ნიკოლაძე რამდენიმე ადგილას აშკარად გადაკვრით ლაპარაკობს ჩემი სიმპათიების ცალმხრიობაზე. რუსებმა და ქართველებმა, რომლებიც ახლოს იცნობენ ჩემს შეხედულებებსა და რწმენას, კარგად იციან, რომ მე იმ ადამიანთა რიგს ვეკუთვნი, რომლებსაც საკუთარი თავი შეზიზღდებოდათ, თუ სულმდაბლურ სისუსტეს გამოიჩენდნენ და ადამიანთა შორის განსხვავების საფუძვლად მათ წარმოშობას მიიჩნევდნენ. თვითონ ნიკოლაძემაც ძალიან კარგად იცის ჩემი ეს თვისება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ეთაკილება ჩემს წინააღმდეგ გამოიყენოს სულმდაბლური ინსინუაციები.

ნიკოლაძე მკითხველ საზოგადოებას არწმუნებს, რომ მისი დაბეჭდილი აზრები ჩემს შესახებ განპირობებული არ იყო პირადი ანგარიშებით. მე შემძლო ადვილად დამემტკიცებინა ამ მტკიცების სიყალბე, თუ დავასახელებდი, სხვათა შორის, ქართველი ინტელიგენციის მთელს წრეში საყოველთაოდ ცნობილ იმ ფაქტს, რომ ნიკოლაძე საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ 1868 წელს, ძალიან დადებითად აფასებდა ჩემს ქრესტომათიას „ბუნების კარს“ და განამტკიცებდა ჩემში იმ აზრს, რომ თავი დამენებებინა ყოველგვარი სხვა საქმიანობისათვის და მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებისა და წიგნების შედგენაზე მემუშავა, მაგრამ ჩვენს შორის პირადი შეჯახებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ მან ისარგებლა რა ჩემი ავადმყოფობით და ჩემზე დაწერა პასკვილი, რომლიდანაც მან ამონაწერი მოიყვანა თავის საკვირაო ფელეტონში. მაგრამ მხილებებზე მე უარს ვამბობ მათი პირადული ხასიათის გამო.

ბ-ნი ნიკოლაძე ჩვენი ნაცნობობის შეწყვეტის მიზეზად ასახელებს ფრენკელის სტატიას. ის მე, მართლაც, არ მომეწონა მაგრამ მას კი არ განუპირობებია ჩემი ფსიქიკური შეუძლებლობა, რომ ნიკოლაძის მოკითხვებზედაც კი არ მეპასუხა, არამედ გამოიწვიეს სხვა სტატიებმა, უმთავრესად კი ფელეტონმა, რომელიც გამოქვეყნდა ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობის სასამართლო პროცესის გამო.

ბ-ნი ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ ქართულ გაზეთ „ივერიაში“ მე თვითონ ვაქებდი ჩემს სტატიებს, რომლებიც „ტიფლისსკი ვესტნიკში“ გამოქვეყნდა. ეს ჭორია და მეტი არაფერი. კაცმა რომ თქვას, „ივერიაში“ არც არავითარი ქება ყოფილა ჩემი სტატიებისა. გაზეთი თავისი სარედაქციო შენიშვნაში თვისი მკითხველების ყურადღებას მიაქცევდა მხოლოდ „ტიფლისსკი ვესტნიკში“ სახალხო განთლების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებმაც საზოგადოება დაინტერესეს, და რეკომენდაციას აძლევდა წაეკითხათ ეს სტატიები. მე მართლაც წარვადგინე ამ სტატიების დაწვრილებითი შინაარსი ქართულ ენაზე, რის შესახებაც პირადადაც ველაპარაკე ნიკოლაძეს, მაგრამ იგი არ დაიბეჭდა... მისი სიტყვები კი იმის შესახებ, რომ მე „ტიფლისსკი ვესტნიკში“ დაბეჭდილ ჩემს სტატიებს ხოტბას ვასხამდი „ივერიაში“, უბრალოდ უაზრობაა და მე ვერ გამიგია, თუ რის თქმა უნდა ბ-ნ ნიკოლაძეს.

ბ-ნი ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ ჩემი საბავშვო ქრესტომათია „ბუნების კარი“ სახალხო მაწავლებელთა ყრილობაზე დაწუნებულ იქნა ეს ისე ბოროტგანზრახული სიცრუეა, როგორც ნათლად ჩანს ყრილობის სხდომათა ანგარიშებიდან, რომლებიც გაზეთში იბეჭდებოდა (სხვათა შორის, იხილეთ „კავკაზი“ № 206), წიგნის წინააღმდეგ გაილაშქრა ყრილობის მხოლოდ ერთმა მონაწილემ, რომელმაც მართლაც ასო-ასო გაიმეორა ბ-ნ ნიკოლაძის სიტყვები და რომლისთვისაც როგორც ყველაფრიდან ჩანს, სრულიად უცნობი ყოფილა წიგნის ახალი შესწორებული და მნიშვნელოვნად შევსებული გამოცემა, მაგრამ ყველა დანარჩენი მასწავლებლები წიგნს დადებით შეფასებას აძლევენ და იგი მიღებულ იქნა არა მხოლოდ როგორც საბავშვო ქრესტომათია, არამედ როგორც მეორე საკითხავი წიგნი დროებით, სანამ შედგებოდა და გამოიცემოდა ასეთი წიგნი.

ბ-ნი ნიკოლაძე განმარტავს პესიმისტურ შეხედულებებს, რომლებიც მე გამოვსთქვი მასწავლებელთა ყრილობის შედეგების მიმართ, რომ თითქოს მე მსურს ამით შური ვიძიო მათზე ჩემი საბავშვო ქრესტომათიის დაწუნების გამო; მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ წიგნი მოწონებულ

იქნა და არა დაწუნებული, მამასადამე შურის საძიებელი არა იყო რა. მაგრამ ამ ბრალდების სიცრუესა და უსამართლობას და ეგოისტურ სულისკვეთებას ყველაზე უკეთ ააშკარავებს ის გარემოება, რომ როცა მე წერილს ვწერდი ყრილობის შესახებ, არა მარტო არაფერი ვიცოდი ქართული ენის პროგრამის შედგენისა და განხილვისას გამართულ კამათზე, არამედ არც შემემლო ეს მცოდნოდა ვინაიდან წერილი თუმცა 30 სექტემბერს დაიბეჭდა, მაგრამ იგი დაიწერა და თბილისს გაეგზავნა იმ თვის დაახლოებით შუა რიცხვებში.

რაც შეეხება ჩემს პესიმისტურ შეხედულებას ყრილობის შედეგებზე, მე იგი მნიშვნელოვნად შევცვალე, როცა თბილისში ჩამოსვლისას მის საბოლოო შედეგებს გავეცანი.

ნიკოლაძის სიტყვები, რომ მე ქართულ გაზეთ „დროებაში“ არც ერთი სტრიქონი არ დამიბეჭდავს, რომელიც თითქოს პირადად მე მეხებოდა, სრულიად მოჩმახულია. რა დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს პირად კეთილდღეობასთან, მაგალითად, იმ კორესპონდენციებს, რომლებიც მე სოხუმიდან გამოვგზავნე? ან განა პირადად მე მეხებოდა ჩემი სტატიები: „სამწუხარო მოვლენა პედაგოგიურ სამყაროში“? ან განა პირადი სარგებლიანობა მამომრავებდა, როცა მე პოლემიკა გავუმართე ერთ სახალხო მასწავლებელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ სწავლების სავალდებულობა უებარი წამალია სახალხო განათლების საქმეებში? ან თუნდაც თვით მდივანოვის ანბანის წინააღმდეგ მიმართული სტატია, ანბანისა, რომელიც ამახინჯებდა ენას და აგონჯებდა ბავშვების გონებას, სასარგებლო არ იყო საზოგადოებრივი თვალსაზრისით? და განა სიბრძნე არ არის უსაყვედურო კაცს იმისათვის, რომ მისი მოქმედება რაც საზოგადოებისთვის სასარგებლოა, თვითონ მას არ ვნებს? სხვა საქმე იქნებოდა, რომ მე პირადი ეგოისტური განზრახვებისათვის მენაცვლებინა საზოგადოებრივი ინტერესები. არასოდეს არც ერთი სტრიქონი არ დამიწერია რამდენადმე რიგიანი პედაგოგიური ან ლიტერატურული გამოცემის წინააღმდეგ და არც არასდროს დავწერ რაგინდ პირადი ღვარძლი და სიძულვილიც უნდა მამომრავებდეს მისი ავტორის წინააღმდეგ. ხოლო თუ მე ვცდილობდი არადაამაკმაყოფილებელი ნახელავი გამომეყვანა მომხმარებელნიდან, ამით მე მხოლოდ ვასრულებდი საზოგადოებას ყოველი წევრის მოვალეობას.

მაგრამ ბ-ნი ნიკოლაძის „საკვირაო საუბარში“ არის ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისადმი მისი ერთგულების კიდევ უფრო უკეთესი ნიმუში. ბ-ნი ნიკოლაძე, მაგალითად სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ 1876 წელს მე ის შთამაგონებდა ჩვენს სახალხო სკოლების სწავლების დაყენებისა და ორგანიზაციის შესახებ იმ პედაგოგიური შეხედულებებით, რომელებიც არსებითად ჩემს მიერ იყო გამოთქმული აბასთუმნიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებში, „ტიფლისსკი ვესტნიკში“, რომ დაიბეჭდა 1874 წლის სექტემბერში, როცა ბ-ნი ნიკოლაძე პარიზის ბულვარებს ზომავდა. ზუსტად ასევე უდავოდ ერთგულია ის ჭეშმარიტებისა, როდესაც ამტკიცებს, რომ სახალხო განათლების შესახებ დაწერილი სტატიების წარმატებებს განაპირობებდა არა ის, რომ ისინი ნაყოფი იყო ღრმად განცდილი და წვალებით მოპოვებული რწმენისა, არამედ ის, რომ იწერებოდა სტრიქონებით ანაზღაურებისათვის, და ბ-ნი ნიკოლაძე, რომელიც მაშინ ქუთაისში იმყოფებოდა, ტელეფონის საშუალებით ეუბნებოდა ავტორს, რომ გაზეთის ფურცლებზე განევიტრებინა „ესა და ეს აზრი“. დასასრულ, სავსებით სამართლიანია ბ-ნი ნიკოლაძის ის მტკიცება, რომ მან, სურდა რა ის, რომ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქციაში ნაკლებად აუცილებელი კაცი გამხდარიყო, მე შემეყვანა მასში

წინააღმდეგ ბ-ნ ბებუთოვის სურვილისა, რომელმაც არ იცოდა, თუ როგორ მოვეშორებინე თავიდან და რომელიც ყოველ დღე უსაყვედურებდა ბ-ნ ნიკოლაძეს იმის გამო, რომ მან შემაჩქა მე რედაქციაში და, ალბათ, ამიტომ, როცა ამ უკანასკნელმა დაარსა „ობზორი“, მან „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქტორის გულის მოგების მიზნით მოინდომა ჩემი გადაყვანა თავის რედაქციაში.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბ-ნ ნიკოლაძე ყოველთვის იდგა სახალხო სკოლების მშობლიური ენის უფლებების მხარეზე და მისი მოწინააღმდეგენი ტაშკენტელების სახელით მონათლა.

ეს ჩემი უკანასკნელი პასუხია ბ-ნ ნიკოლაძისადმი. ის უეჭველია კვლავაც გულუხვად დამწამებს ცილს და ლანძღვა - გინებასაც არ მომაკლებს, მაგრამ შეუძლია სავსებით დარწმუნებული იყოს, რომ მე არ დავარღვევ ჩემს დუმილს და მას პასუხს არ გავცემ. ამას მავალებს მკითხველი საზოგადოების ინტერესები.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

დუშეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარიამ ებიტაშვილმა**

3 აპრილი 2020 წელი

#დარჩისახლში